



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49231493

თარიღი:29/05/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

**პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
გელა თათარაშვილის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1. გელა თათარაშვილს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2023 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 7 სამუშაო დღით, 2023 წლის 1 ივნისიდან 9 ივნისის ჩათვლით.
- არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება, დროებით დაეკისროს საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მია ბერაძეს.
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და მია ბერაძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის გაცემა.
- ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ.№11).

თვიშურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

